MES 2 22 0000832514

22/07/2022

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ **N320105/01/155**

CPV- **50100000** - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები

ქ. თბილისი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში - შემსყიდველი), მისი დირექტორის პირველი მოადგილის გიორგი შალუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, სს ,,ფრანს ავტო'' (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ფალიანის სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ს [1]'' ქვეპუნქტის, მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის და 2022 წლის 21 ივლისის N827760 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სახსრებით, 2022 წლის 27 დეკემბერს გამოცხადებული NAT210024501 და NAT210024499 ტენდერის შედეგების საფუძველზე, მიმწოდებელთან 2022 წლის 04 იანვარის N320105/03/13 და N320105/03/14 ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გეგმიური საგარანტიო მომსახურების შესყიდვა (იხ.დანართი) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით;

1.2. შესყიდვის ობიექტია: 2022 წელს გამოშვებული ჯამში 4 ერთეული ავტომობილის: Renault Duster სახ. ნომრებით: ED-867-YD, ED-868-YD, ED-869-YD და Renault Koleos სახელმწიფო ნომრით OO-693-OD გეგმიური საგარანტიო მომსახურება;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ფასი შეადგენს **31 070 (ოცდათერთმეტი ათას სამოცდაათი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანმდევი ხარჯებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას **მიმწოდებელი** უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2. მომსახურების მიწოდების ადგილია მიმწოდებლის სერვისცენტრი, ქ. თბილისი, სცენტრალური ფილიალი - ხოლო მიწოდების თარიღი – ავტომობილის წარდგენიდან სამი სამუშაო დღე, მაგრამ არაუგვიანეს **2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

4.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება.

4.4. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სააგენტოს ლოჯისტიკოსი დავით ჭიჭინაძე;

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს **10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების ამ მუხლში.

8.3. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ყოველვადაგადაცილებულ დღეზე დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.4. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მახარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

8.5 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ხელშეკრულების შეწყვეტის გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი;

8.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8.7. შემსყიდველი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) მიმწოდებლის მიერ მიწოდების საბოლოო ვადის 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ოდენობით;

8.9. თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ მიმწოდებლის მიზეზით შეუძლებელია შესყიდვის ობიექტის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს ოდენობით.

8.10 ამ მუხლის 8.7 პუნქტში მითითებული რომელიმე გარემოებით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება;

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან **2023 წლის 31 იანვრის** ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის/მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს გაწეული მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

15. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირი ადასტურებს, რომ მისი მონაწილეობა წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებლის მიმართ ინტერესთა კონფლიქტში არ იმყოფება.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო; მის:ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. N5, მე-8 სართული; სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი:TRESGE22; ანგარიშის ნომერი:GE24NB0330100200165022; ს/კოდი:202294980;

დირექტორის პირველი მოადგილე გიორგი შალუტაშვილი

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

სს „ფრანს ავტო", მისამართი: ქ. თბილისი, ჯორჯ ბალანჩინის 34, ს/კ: 236098165, სს ,,საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, GE25BG0000000254559400, 577 54 00 13, t.metreveli@renault.ge

გენერალური დირექტორი გიორგი ფალიანი

(ხელმოწერა)

RENAULT

Digitally signed by George Paliani
Date: 2022.07.22 17:20:05 +04'00'

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
შალუტაშვილი გიორგი

"ფასების ცხრილი" (ცხრილი #1)

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	მწარმოებელი ქვეყანა	ერთეული ავტომანქანის ღირებულება (ზღვრული)	ერთეული ავტომანქანის ღირებულება (ლარი)	საწვავის ღირებულება (150 000 კმ.)	ერთეული ავტომანქანის ფლობის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (არაუმეტეს)	საგარანტიო ვადა (არანაკლებ)	კომენტარი
1	Renault Duster ;1,6 ბენზინი; 4X4 6 საფეხურიანი მექანიკური; 2022 წლიანი	3	რუმინეთი		54847.333	21000	75,847.333	227,542.00	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც ადრე მეცხრეულდება) სრული ავტომანქანაზე, გარდა სწრაფმფლუფადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფერიზი, ფრონი, საბურავები, ელექტრონაუირები, ელექტრომფლველები, მუშის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადამამუხლობის ჭერო, გადაცემათა კოლოფის მიმტრიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადამმულობის ღილკი და საჭრდენი ღილკი);	1. ავტომობილის ღირებულება მოცემულია - აქციზის გადასახადის გათვალისწინებით (მსუბუქ ავტომობილებზე დღგ-ს გადასახადი არ მოქმედებს); 2. ავტონაწილების ღირებულება გათვალისწინებულია დღგ-ს ჩათვლით;

ავტომობილის გეგმიური მომსახურების ღირებულების ცხრილი (ცხრილი #2)

#	სათადარიგო ნაწილების დასახელება	„ბრენდი - მოდელი“	მახასიათებლები/ გაზომილება : ლიტრი,	ერთ.ფასი GEL	სერვისის ღირებულება GEL	11000კმ	19000კმ	27000კმ	35000კმ	43000კმ	51000კმ	59000კმ	67000კმ	75000კმ	83000კმ	91000კმ	99000კმ	107 000 კმ	115 000 კმ	123000 კმ	131000 კმ	139 000 კმ	147 000 კმ	ჯამი
1	ძრავის ზეთი ELF (5W40)	ELF (5W40)	4,2 ლიტრი	25	15	120	120	120	120	120	120	120	120	120	120	120	120	120	120	120	120	120	140	**2180**
2	ძრავის ზეთის ფილტრი Renault (OEM მახასიათებლების მესაბამისი)	Renault (მოდელი არ არსებობს)	1 ცალი	35	0	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	35	**630**
3	ძრავის ჰაერის ფილტრი Renault (OEM მახასიათებლების მესაბამისი)	Renault (მოდელი არ არსებობს)	1 ცალი	75	15		90			90			90			90			90			90		**540**
4	წინა სამუხრუჭე ხუნდების კომპლექტი Renault (OEM მახასიათებლების მესაბამისი)	Renault (მოდელი არ არსებობს)	1 კომპლექტი	210	15		225			225			225			225			225			225		**1350**
5	უკანა სამუხრუჭე ხუნდების კომპლექტი Renault (OEM მახასიათებლების მესაბამისი)	Renault (მოდელი არ არსებობს)	1 კომპლექტი																					**0**
6	სალონის ფილტრი Renault (OEM მახასიათებლების მესაბამისი)	Renault (მოდელი არ არსებობს)	1 ცალი	85	20			105				105				105				105				**420**
8	დინამოს ღვედი დამჭიმებით	Renault (მოდელი არ არსებობს)	1 კომპლექტი	640	50							690							690					**1380**
9	მექანიკური გადაცემათა კოლოფის ზეთი	TRANSELF NFJ GL4 / 80W-90 GL5	2 ლიტრი	35	25										95									**95**
10	წინა ხიდის ზეთი	TRANSELF NFJ GL4 / 80W-90 GL5	1 ლიტრი	35	25										60									**60**
11	უკანა ხიდის ზეთი	TRANSELF NFJ GL4 / 80W-90 GL6	1 ლიტრი	35	25										60									**60**
12	აალების სანთელი	Renault (მოდელი არ არსებობს)	1 კომპლექტი(4 ცალი)	300	40					340					340					340				**1020**
ჯამი ლარში:				**1,475**	**230**	**155**	**470**	**260**	**155**	**810**	**155**	**950**	**470**	**155**	**710**	**575**	**155**	**155**	**1,160**	**600**	**155**	**470**	**175**	**7,735**

*** პრეტენდენტი უფლებამოსილია ცხრილ #2-ში ჩაამატოს (განსაზღვროს) მწარმოებლის მიერ განსაზღვრული გეგმიური საგარანტიო მომსახურებ(ებ)ი (მაგალითად საწვავის ფილტრი, ხიდის ზეთი და ა.შ.), რომლებიც არ არის მოცემული აღნიშნულ ცხრილში.**

* საწვავის ხარჯის დაანგარიშება უნდა მოხდეს შესაბამისი რაოდენობის (საწვავის ხარჯი) ნამრავლით, რომელიც გაანგარიშებული უნდა იყოს ერთი ლიტრი საწვავის პირობით ფასზე, რომლის ერთეულის ფასი ტოლია 2-ის.

* პრეტენდენტის მიერ წარდგენილი სერვისის მომსახურების განფასება ძალაში უნდა იყოს ავტომობილის საგარანტიო პირობის ამოწურვამდე.

*პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული ავტომანქანის ერთეულის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე დანართში მითითებულ ავტომანქანის ზღვრულ ერთეულის ღირებულებას.

"ფასების ცხრილი"

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	რაოდენობა (ცალი)	მწარმოებელი ქვეყანა	ერთეული ავტომანქანის ღირებულება (ლარი)	150 000 კმ-ზე ერთეული ავტომანქანის გეგმიური მომსახურების ღირებულება (ლარი)	საწვავის ღირებულება (150 000 კმ.)	ერთეული ავტომანქანის ზღვრული ფლობის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება	საგარანტიო ვადა (არანაკლებ)	კომენტარი
1	Renault Koleos ; 2.0 ბენზინი; 144 ფს.ძ; 4x4; ვარიატორი	1	კორეა	**64000**	**8195**	**22500**	**94695**	**94,695.00**	5 წელი ძირითად აგრეგატებზე (ძრავი, ხიდი, გადაცემათა კოლოფი), 3 წელი ან 150000 კილომეტრი (რომელიც აღრე მესრულდება) სრულ ავტომანქანაზე, გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა და მასალებისა (ანტიფრაზი, ფრეონი, სახურავები, ელექტრონათურები, ელექტრომგცველები, შუმის საწმენდი ჯაგრისები, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის ,ეერო, გადაცემათა კოლოფის მომჭიმი საკისარი, გადაცემათა კოლოფის გადაბმულობის დისკი და საჭრელი დისკი);	1. ავტომობილის ღირებულება მოცემულია - აქციზის გადასახადის გათვალისწინებით (მსუბუქ ავტომობილებზე დღგ-ს გადასახადი არ მოქმედებს); 2. ავტონაწილების ღირებულება გათვალისწინებულია დღგ-ს ჩათვლით;

ავტომობილის გეგმიური მომსახურების ღირებულების ცხრილი

#	სათადარიგო ნაწილების დასახელება	ბრენდი	მახასიათებელი/განზომილ	ერთ ჯერზე მესაცვლელი	ერთეულის ღირებულება	სერვისის	23000 კმ	33000 კმ	43000 კმ	53000 კმ	63000 კმ	73000კმ	83000კმ	93000კმ	103000კ	113000კ	123000k	133000კმ	143000კ	ჯამი
1	ძრავის ზეთის ხარჯი	ELF	ლიტრი	4.4	25	15	125	125	125	125	125	125	125	125	125	125	125	125	125	**1625**
2	ძრავის ზეთის ფილტრების ხარჯი;	Renault-Nissan	ცალი	1	40	0	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	**520**
3	ჰაერის ფილტრის ხარჯი;	Renault-Nissan	ცალი	1	90	10		100			100			100			100			**400**
4	წინა სამუხრუჭე ხუნდების ხარჯი;	Renault-Nissan	კომპლექტი	1 კომპ	480	20		500				500				500				**1500**
5	უკანა სამუხრუჭე ხუნდების ხარჯი;	Renault-Nissan	კომპლექტი	1 კომპ	550	40							590							**590**
6	სალონის ფილტრის ხარჯი;	Renault-Nissan	ცალი	1	90	10		100			100			100			100			**400**
7	ანთების სანთლები;	Renault-Nissan	კომპლექტი	1 კომპ (4 ცალი)	400	50		450				450				450				**1350**
8	დინამოს ღვედი დამჭიმებით	Renault-Nissan	კომპლექტი	1 კომპ	670	70				740						740				**1480**
9	სხვა ხარჯები																			**0**
	ჯამი ლარში:				**2,345.00**	**215**	**165**	**1315**	**165**	**905**	**365**	**1115**	**755**	**365**	**165**	**1855**	**365**	**165**	**165**	**7865**